Embassy of Japan in Georgia
7D, Krtsanisi Str. 0114, Tbilisi

17 ივლისი, 2015

პრეს-რელიზი

საქართველოში იაპონიის საელჩოს განცხადება ბაქო-სუფსას მილსადენთან ახლოს ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებით, იაპონიის საელჩო გამოსცემს შემდგომ განცხადებას:

იაპონიის თანმიმდევრული პოზიციაა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების შესაბამისად, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველოსა და სრულიად სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.

იაპონიის აღნიშნული პოზიცია უცვლელი რჩება ბაქო-სუფსას მილსადენთან ახლოს ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟებასთან მიმართებით.

იაპონია და საქართველო ეწინააღმდეგებიან საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის შეცვლის ნებისმიერ მცდელობას.

ზემოხსენებული დებულებები თვალნათლივაა გამოხატული იაპონიისა და საქართველოს 2014 წლის 24 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში - „სოლიდარობა მშვიდობისა და დემოკრატიისთვის“, რომელიც იაპონიის პრემიერ-მინისტრის, მისი აღმატებულება ბატონი შინძო აბეს და საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულება ბატონი გიორგი მარგველაშვილის მიერ იქნა ხელმოწერილი საქართველოს პრეზიდენტის იაპონიაში ვიზიტისას.